



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
უმალლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

„ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია“

ბაკალავრიატი

შპს სასწავლო უნივერსიტეტი „გეომედი“

შეფასების თარიღ(ებ)ი -17.11.2021-6.12.2021

დასკვნის პროექტის წარდგენის თარიღი - 10.01.2022

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედი კერძო სამართლის იურიდიული პირი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204909858
დაწესებულების სახე	სასწავლო უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია Physical Medicine and Rehabilitation
უმაღლესი განათლების საფეხური	პირველი (ბაკალავრიატი)
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ბაკალავრი Bachelor of Physical Medicine and Rehabilitation
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	თერაპია და რეაბილიტაცია (0915) Therapy and Rehabilitation (0915)
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადანყვეტილების მითითებით	აკრედიტირებული საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2019 წლის 12 დეკემბრის გადანყვეტილება N238

¹ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

² უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

(ნომერი, თარიღი)	
------------------	--

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ირინე ფხაკაძე (სსიპ - ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო)
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამარ გვიანიშვილი (შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი, საქართველო)

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგენელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფს განსახილველად გადაეცა შპს „სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის“ (შემდგომში - დანესებულება) ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის მიზნით, გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია“ (შემდგომში - პროგრამა) აკრედიტირებულია 2019 წელს (საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება N238, 12.12.2019).

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების (MES 0 21 0000646673, 29 ივნისი, 2021) საფუძველზე პროგრამაზე განხორციელდა არაგვეგმიური მონიტორინგი წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“, „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ და აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით აკრედიტაციის პირველ, მეორე და მესამე სტანდარტებთან მიმართებაში:

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემულ იქნა რეკომენდაციები (ოქმი MES 4210000816047, 24/08/2021), რომელთა შესასრულებლად შპს სასწავლო უნივერსიტეტ გეომედს განესაზღვრა 60 კალენდარული დღე.

დანესებულების მიერ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) 2021 წლის 27 ოქტომბრის №1149190 წერილით წარმოდგენილი პროგრამის მახასიათებლებია:

- პროგრამის ხანგრძლივობა - 4 წელი;
- პროგრამის მოცულობა - 240 ECTS-ის კრედიტი (აკადემიური წელი - 60 კრედიტი, სემესტრი - 30 კრედიტი); 1 კრედიტი = 25 სთ (მოიცავს საკონდაქტო და დამოუკიდებელ საათებს).

- პროგრამის სტრუქტურა - ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტი (სასწავლო კურსები 197 კრედიტი, საბაკალავრო ნაშრომი 14 კრედიტი, პრაქტიკა სპეციალობაში - 16 კრედიტი) და თავისუფალი კომპონენტი (სასწავლო კურსები 13 კრედიტი).

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრის ბრძანების (MES 3 21 0001239389, 17.11.2021) საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფმა შემადგენლობით: ირინე ფხაკაძე, თამარ გვიანიშვილი განახორციელა შპს უნივერსიტეტ გეომედის "ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიური მონიტორინგი „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის მიზნით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს (შემდგომში - აკრედიტაციის საბჭო) მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ.

ექსპერტთა ჯგუფს განსახილველად გადაეცა ცენტრში 2021 წლის 27 ოქტომბრის №1149190 წერილით შპს სასწავლო უნივერსიტეტ „გეომედი“-ს (შემდგომში - დანესებულება) მიერ წარმოდგენილი „ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის“ საბაკალავრო საგანმანათ-ლებლო პროგრამა (შემდგომში - პროგრამა).

აკრედიტაციის საბჭოს მიერ (ოქმი MES 4210000816047, 24/08/2021) პროგრამაზე გაცემულ იქნა შემდეგი რეკომენდაციები:

1. პროგრამის სწავლის შედეგების ფორმულირება მოხდეს აქტიური ზმნებით ახლანდელ დროში;
2. პროგრამის შედეგებში კომპეტენციები განწერილი იყოს მკაფიოდ;
3. პროგრამის შედეგების ფორმირებაში ყველა მონაწილე სასწავლო კურსის სწავლის შედეგები იყოს გაზომვადი და რეალისტური;
4. დაკორექტირდეს ჩანაწერი პროგრამის მიღების წინაპირობაში „სწავლოს ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის სპეციალობაზე“;
5. დაკორექტირდეს ტერმინი „სპეციალობა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორის“ შესაბამისად მიეთითოს „ძირითადი სწავლის სფერო“;
6. მოხდეს სასწავლო კურსების სილაბუსებში წარმოდგენილი სწავლის შედეგების ფორმულირება ახლანდელ დროში;
7. დაკორექტირდეს სილაბუსებში სწავლის შედეგებში „პასუხისმგებლობის და ავტონომიურობის“ განსაზღვრებები „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“ შესაბამისად;
8. რეკომენდირებულია კლინიკური უნარების შეფასებისთვის შემუშავდეს სამოქმედო გეგმა OSCE-ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა დანერგვასთან დაკავშირებით;
9. სასწავლო კურსებში შეფასების მეთოდები შეირჩეს კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით, ისე, რომ მოხდეს სწავლის შედეგების დადასტურება და გაზომვა.

პროგრამის შეფასება განხორციელდა დანესებულებაში ვიზიტის გარეშე, დანესებულების მიერ წარმოდგენილი პროგრამის (კურიკულუმის და პროგრამის კომპონენტების სილაბუსების) შესწავლით. შეფასება განხორციელდა სტანდარტების იმ კომპონენტებთან (1.2; 2.1. 2.3; 2.6) მიმართებაში, რომლებთანაც დაკავშირებით იყო გაცემული ზემოთ მითითებული რეკომენდაციები. ექსპერტთა მიერ განხორციელებული შეფასების შედეგებისა და დანესებულების არგუმენტირებული პოზიციის განხილვის შედეგების საფუძველზე მომზადდა წინამდებარე დასკვნა.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

სტანდარტი 1 - საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

1.2. კომპონენტი - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

სტანდარტი 2 - სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

2.1. - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

2.3. - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

2.6. - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

- **რეკომენდაციები**

1.2. კომპონენტი

- გამოირიცხოს პროგრამის შედეგის იმგვარი ფორმულირება, რომელიც ვერ უზრუნველყოფს ამ შედეგის გაზომვას და უკანასკნელის დადასტურების შესაძლებლობას.

2.3. კომპონენტი

- მოხდეს სასწავლო კურსების სილაბუსებში წარმოდგენილი სწავლის შედეგების ფორმულირება ახლანდელ დროში აქტიური ზმნების გამოყენებით.
- დაკორექტირდეს კურსების სილაბუსებში სწავლის შედეგებში „პასუხისმგებლობის და ავტონომიურობის“ განსაზღვრებები „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“ შესაბამისად.

2.6. კომპონენტი

- სასწავლო კურსებში შეფასების მეთოდები შეირჩეს კურსის სპეციფიკის მაქსიმალურად გათვალისწინებით, ისე, რომ მოხდეს სწავლის შედეგების დადასტურება და გაზომვა.
- რეკომენდირებულია OSCE-ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის დანერგვასთან კლინიკური უნარების შეფასებისთვის შემუშავებული სამოქმედო გეგმის და ჩექლისტების წარმოდგენა.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

2.1. კომპონენტი

- სასურველია დაკორექტირდეს სასწავლო კურსების სილაბუსებში კურსის სტატუსის ფორმულირება „სპეციალობის საბაზისო სავალდებულო“.

2.3. კომპონენტი

- სასურველია სასწავლო კურსების სილაბუსების გაუმჯობესება ენობრივი სისწორის თვალსაზრისით.

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)
-
- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრება დანესებულების არგუმენტირებულ პოზიციაზე

1.2. კომპონენტი

- დაკორექტირდეს პროგრამის სწავლის შედეგებში არსებული შეუსაბამობები, კერძოდ, დაზუსტდეს „ცოდნა გაცნობიერების“ და „უნარების“ კომპეტენციები.

აღნიშნული რეკომენდაცია გათვალისწინებულია, დანესებულების არგუმენტირებულ პასუხს თან ერთვის პროგრამის დაკორექტირებული ვერსია, სადაც სწავლის შედეგებში არსებული შეუსაბამობები გასწორებულია, კერძოდ, დაზუსტებულია „ცოდნა გაცნობიერების“ და „უნარების“ კომპეტენციები. შესაბამისად აღნიშნული რეკომენდაცია ამოღებულ იქნა ექსპერტთა დასკვნიდან.

- გამოირიცხოს პროგრამის შედეგის იმგვარი ფორმულირება, რომელიც ვერ უზრუნველყოფს ამ შედეგის გაზომვას და უკანასკნელის დადასტურების შესაძლებლობას.

დანესებულების არგუმენტირებული პასუხისა და დანართების შეფასების შედეგად ჩანს, პროგრამის შედეგების ფორმირებაში მონაწილე სასწავლო კურსების სწავლის შედეგები დაკორექტირდა, უმეტესწილად გახდა გაზომვადი და რეალისტური, შესაძლებელია პროგრამის შედეგების გაზომვა და დადასტურება (ადამიანის ანატომია 1, ჰისტოლოგია, ციტოლოგია, ემბრიოლოგია, სამედიცინო ფიზიკა, ბიოფიზიკა), თუმცა რიგ კურსებში რჩება არასწორად ფორმულირებული სწავლის შედეგები (მაგ.: აქვს თავის ტვინის და მათგან გამომავალი პერიფერიული ნერვული სისტემის ანატომია და თავისებურებების ცოდნა, საკუთარი დასკვნების, არგუმენტების და კვლევის შედეგების წარდგენა, როგორც აკადემიურ ასევე, პროფესიული საზოგადოებისთვის, შეუძლია მოახდინოს პათოლოგიის წინა მდგომარეობის აღრეული დიაგნოსტიკა). აღნიშნულის გათვალისწინებით, რეკომენდაცია დასკვნაში შენარჩუნებულ იქნა.

2.3. კომპონენტი

- მოხდეს სასწავლო კურსების სილაბუსებში წარმოდგენილი სწავლის შედეგების ფორმულირება ახლანდელ დროში აქტიური გზების გამოყენებით.

რეკომენდაცია გაზიარებული იქნა, დანესებულების არგუმენტირებული პასუხის თანახმად, სასწავლო კურსების სილაბუსებში (ინვალიდთა კინეზოკორექცია) სწავლის შედეგების ფორმულირება მოხდა ახლანდელ დროში, თუმცა რიგ კურსებში ისევ გვხვდება (მაგ.,

პრაქტიკა სპეციალობაში) მომავალ დროში სწავლის შედეგების ფორმულირება, შესაბამისად, რეკომენდაცია დასკვნაში შენარჩუნებულია.

- დაკორექტირდეს კურსების სილაბუსებში სწავლის შედეგებში „პასუხისმგებლობის და ავტონომიურობის“ განსაზღვრებები „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“ შესაბამისად. დაწესებულების მიერ გაზიარებულ იქნა რეკომენდაცია და დაკორექტირდა სილაბუსებში (ჰისტოლოგია, ციტოლოგია, ემბრიოლოგია, სხიური დიაგნოსტიკა და თერაპია და ბიოეთიკა) სწავლის შედეგებში არსებული შეუსაბამობები, თუმცა ისევ გვხვდება პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა ფორმულირებული შემდეგნაირად: სტუდენტმა იყის: პიროვნების პატივისცემისა და თანასწორობის პრინციპები. რეკომენდაცია შენარჩუნებულ იქნა დასკვნაში.

2.6. კომპონენტი

- სასწავლო კურსებში შეფასების მეთოდები შეირჩეს კურსის სპეციფიკის მაქსიმალურად გათვალისწინებით, ისე, რომ მოხდეს სწავლის შედეგების დადასტურება და გაზომვა.
- რეკომენდირებულია OSCE-ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის დანერგვასთან კლინიკური უნარების შეფასებისთვის შემუშავებული სამოქმედო გეგმის და ჩექლისტების წარმოდგენა.

დაწესებულების არგუმენტირებული პასუხის თანახმად, რეკომენდაცია გათვალისწინებულ იქნა და სასწავლო კურსებში: სამედიცინო ქიმია, ადამიანის ანატომია, სამედიცინო ფიზიკა, ბიოფიზიკა, ჰისტოლოგია, ციტოლოგია, ემბრიოლოგია დაკორექტირდა სტუდენტის შეფასების მეთოდები კურსის შინაარსის შესაბამისად და ითვალისწინებს სპეციფიკას. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა OSCE ჩექლისტები და შეფასების ფურცლები. თუმცა, წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასების შედეგად ჩანს შემდეგი: ობიექტურად სტრუქტურირებულ გამოცდაზე სტუდენტისათვის მიცემული დავალება და ამ დავალების შეფასება აცდენილია, ამასთანავე, წარმოდგენილი ფორმები არ შეიძლება ჩაითვალოს ჩექლისტებად. სტრუქტურირებული დავალების ობიექტური შეფასების ფორმების ნაცვლად, ე.წ. OSCE სადგურზე დავალებების შეფასებები მეტწილად სუბიექტური, ანალიტიკური და ჰოლისტიკურია. ამდენად, რეკომენდაცია ექსპერტთა დასკვნაში შენარჩუნებულია.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი <i>შენიშვნა: კომპონენტი არ შეფასდა, რადგან</i> 1) უკვე იყო შეფასებული როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“; 2) ამ კომპონენტთან დაკავშირებით რეკომენდაციები გაცემული არ იყო.
მტკიცებულებები/ინდიკატორები
რეკომენდაციები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში)
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება <input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
<ul style="list-style-type: none"> ➤ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➤ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➤ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
აკრედიტაციის საბჭოს მიერ პროგრამაზე გაცემულ იქნა შემდეგი რეკომენდაციები: <i>რეკომენდაცია #1: პროგრამის სწავლის შედეგების ფორმულირება მოხდეს აქტიური ზმნებით ახლანდელ დროში.</i>
რეკომენდაცია გაზიარებულია, პროგრამის კურიკულუმში აღწერილი სწავლის შედეგები

ფორმულირებულია აქტიური ზმნებით ახლანდელ დროში,

რეკომენდაცია #2: პროგრამის შედეგებში კომპეტენციები განერილი იყოს მკაფიოდ.

პროგრამის შედეგები ფორმულირებულია პროგრამის ფარგლებში მიღებულ სამ კომპეტენციაში: ცოდნა-გაცნობიერება, უნარები და პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა, თუმცა, რიგ შემთხვევაში - არამკაფიოდ, მაგალითად:

- სტუდენტს აქვს სხვა ძირითადი კურსებისა და სამედიცინო კლინიკური კურსის შესწავლის საფუძველი
- სტუდენტს აღნიშნული კურსი ეხმარება სწავლის შემდეგ საფეხურზე კლინიკური საგნების ათვისებაში.

ასევე, გვხვდება შეუსაბამობა როგორც „ცოდნა-გაცნობიერების“, ასევე „უნარების“ კომპეტენციის ფორმულირებებში, კერძოდ:

„ცოდნა-გაცნობიერება“

- „აქვს სფეროსთვის დამახასიათებელი შემეცნებითი და პრაქტიკული უნარები“
- „შეუძლია სხვადასხვა დაავადებებისა და დაზიანების განსაზღვრა, სამედიცინო რეაბილიტაციის ტაქტიკის შერჩევა“ და „ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასება,“

„უნარები“

- „იცის ადამიანის ჯანმრთელობის განმტკიცებისა და ფიზიკური თვისებების განვითარების მეთოდები“.

რეკომენდაცია #3: პროგრამის შედეგების ფორმირებაში ყველა მონაწილე სასწავლო კურსის სწავლის შედეგები იყოს გაზომვადი და რეალისტური.

პროგრამის კომპონენტების სილაბუსებში მითითებული სწავლის შედეგების ნაწილი რეალისტური და გაზომვადია თუმცა, არამკაფიოდ ფორმულირების გამო, რიგ შემთხვევებში, შედეგების გაზომვა პრობლემურია, მაგალითად:

- შეუძლია მიღებული ცოდნა გამოიყენოს საგანმანათლებლო პროგრამის თეორიული და კლინიკური საგნების ათვისებაში (ადამიანის ანატომია)
- აქვს ცოდნა, რომელიც მოიცავს თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებასა და ცოდნის ზოგიერთ უახლეს ასპექტს (ადამიანის ანატომია)
- მიღებულ ცოდნას გამოიყენებს პროფესიული საქმიანობის წარმოების პროცესში (ჰისტოლოგია, ციტოლოგია, ემბრიოლოგია)
- იცის ადამიანთან კავშირში არსებული ფიზიკური და ქიმიური მოვლენები და მათი მოქმედების პრინციპები (სამედიცინო ფიზიკა, ბიოფიზიკა)
- შეუძლია კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში მონაწილეობა.

საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესწავლის შედეგად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ ჩამოყალიბდა და დასკვნის პროექტში მითითებული ორი რეკომენდაცია:

- დაკორექტირდეს პროგრამის სწავლის შედეგებში არსებული შეუსაბამობები, კერძოდ, დაზუსტდეს „ცოდნა-გაცნობიერების“ და „უნარების“ კომპეტენციები.
- გამოირიცხოს პროგრამის შედეგის იმგვარი ფორმულირება, რომელიც ვერ უზრუნველყოფს ამ შედეგის გაზომვას და უკანასკნელის დადასტურების შესაძლებლობას.

დანესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პასუხის შესწავლის შედეგად აღსანიშნავია, რომ ექსპერტთა:

- პირველი რეკომენდაცია - გათვალისწინებულია, დანესებულების არგუმენტირებულ

პასუხს თან ერთვის პროგრამის დაკორექტირებული ვერსია, სადაც სწავლის შედეგებში არსებული შეუსაბამოები გასწორებულია, კერძოდ, დაზუსტებულია „ცოდნა გაცნობიერების“ და „უნარების“ კომპეტენციები. შესაბამისად აღნიშნული რეკომენდაცია დასკვნაში არ იქნა შენარჩუნებული.

- მეორე რეკომენდაცია - დანესებულების არგუმენტირებული პასუხისა და დანართების შეფასების შედეგად ჩანს, პროგრამის შედეგების ფორმირებაში მონაწილე სასწავლო კურსების სწავლის შედეგები დაკორექტირდა, უმეტესწილად გახდა გაზომვადი და რეალისტური, შესაძლებელია პროგრამის შედეგების გაზომვს და უკანასკნელი დადასტურება (ადამიანის ანატომია 1, ჰისტოლოგია, ციტოლოგია, ემბრიოლოგია, სამედიცინო ფიზიკა, ბიოფიზიკა), თუმცა რიგ კურსებში რჩება არასწორად ფორმულირებული სწავლის შედეგები (მაგ.: აქვს თავის ტვინის და მათგან გამომავალი პერიფერიული ნერვული სისტემის ანატომია და თავისებურებების ცოდნა, საკუთარი დასკვნების, არგუმენტების და კვლევის შედეგების წარდგენა, როგორც აკადემიურ ასევე, პროფესიული საზოგადოებისთვის, შეუძლია მოახდინოს პათოლოგიის წინა მდგომარეობის ადრეული დიაგნოსტიკა.

აღნიშნულის გათვალისწინებით, რეკომენდაცია დასკვნაში იქნა შენარჩუნებული.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის კურიკულუმი, პროგრამის კომპონენტების სილაბუსები

რეკომენდაციები:

- გამოირიცხოს პროგრამის შედეგის იმგვარი ფორმულირება, რომელიც ვერ უზრუნველყოფს ამ შედეგის გაზომვას და უკანასკნელის დადასტურების შესაძლებლობას.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სავანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის				

შედგეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		✓		
--	--	---	--	--

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
ესდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
აკრედიტაციის საბჭოს მიერ პროგრამაზე გაცემულ იქნა შემდეგი რეკომენდაციები: <i>რეკომენდაცია #1: დაკორექტირდეს ჩანაწერი პროგრამის მიღების წინაპირობაში „ისწავლოს თემატიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის სპეციალობაზე“.</i>
რეკომენდაცია გაზიარებულია. ჩანაწერი პროგრამის მიღების წინაპირობაში დაკორექტირებულია.
<i>გაცემული რეკომენდაცია #2: დაკორექტირდეს ტერმინი „სპეციალობა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორის“ შესაბამისად მიეთითოს „ძირითადი სწავლის სფერო“.</i>
რეკომენდაცია ძირითადად გაზიარებულია. პროგრამის კომპონენტების სილაბუსებში სასწავლო კურსის სახელწოდებასა და სტატუსში მითითებულია სპეციალობის საბაზისო სავალდებულო, სასურველია უკანასკნელთა კორექტირება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები
○ პროგრამის კურიკულუმი, პროგრამის კომპონენტების სილაბუსები
რეკომენდაციები:
-
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
○ სასურველია დაკორექტირდეს სასწავლო კურსების სილაბუსებში კურსის სტატუსის ფორმულირება „სპეციალობის საბაზისო სავალდებულო“.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
-
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
-
შეფასება
<input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
<input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

შენიშვნა: კომპონენტი არ შეფასდა, რადგან: 1) უკვე იყო შეფასებული როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“; 2) ამ კომპონენტთან დაკავშირებით რეკომენდაციები გაცემული არ იყო.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

აკრედიტაციის საბჭოს მიერ პროგრამაზე გაცემულ იქნა შემდეგი რეკომენდაციები:

რეკომენდაცია #1: მოხდეს სასწავლო კურსების სილაბუსებში წარმოდგენილი სწავლის შედეგების ფორმულირება ახლანდელ დროში.

წარმოდგენილ სილაბუსებში მითითებული სწავლის შედეგები ჩამოყალიბებულია ახლანდელ დროში, თუმცა რიგ შემთხვევებში არ არის არის შენარჩუნებული მომავალ დროში ფორმულირებული შედეგები, არ არის გამოყენებული აქტიური ზმნები:

- სტუდენტს ეცოდინება შებენიანი შესაძლებლობის მქონე პირების (ინვალიდთა) ფიზიკური განვითარებისა და ფუნქციური შესაძლებლობების განვითარების კანონზომიერებები (ინვალიდთა კინეზოკორექცია)
- სტუდენტს ეცოდინება სამედიცინო ქიმიის კრიტიკული გააზრება, რომელიც მოიცავს თემატიკის ზოგიერთ უახლეს მიღწევებს და ქმნის საფუძველს ახალი, ორიგინალური იდეების განვითარებისათვის.
- სტუდენტს შეეძლება სისტემატური დაკვირვება და კონტროლი იმ ცვლილებებზე, რომლებიც მიმდინარეობს ორგანიზმში კინეზოკორექციული საშუალებების ზემოქმედებით.
- სტუდენტი შეძლებს პროფესიული ეთიკის ფარგლებში დაიცვას პაციენტის ინტერესები და კონფიდენციალურობა.
- სტუდენტს აქვს ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის მიმართულებით პროფესიული საქმიანობისთვის საჭირო ბაზისური ფართო ცოდნა.
- სტუდენტმა იცის გამოკვლევის შედეგები და მათი ინტერპრეტაცია.

რეკომენდაცია #2: დაკორექტირდეს სილაბუსებში სწავლის შედეგებში „პასუხისმგებლობის და ავტონომიურობის“ განსაზღვრებები „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“ შესაბამისად.

წარმოდგენილ სილაბუსებში მითითებული სწავლის შედეგები, ძირითადად, შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს, თუმცა რიგ შემთხვევაში, არსებობს შეუსაბამობები, მაგალითად:

- „ცოდნა და გაცნობიერებაში“ მითითებულია სხივური თერაპიის გამოყენება სხვადასხვა პათოლოგიების დროს.
- სწავლის შედეგებში კომპეტენცია „პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა“ ფორმულირებულია შემდეგნაირად:
 - სტუდენტს აღნიშნული კურსი ეხმარება სწავლის შემდეგ საფეხურზე კლინიკური საგნების ათვისებაში (ჰისტოლოგია, ციტოლოგია, ემბრიოლოგია)
 - სტუდენტმა იცის პროფესიისა და პაციენტის უფლებების პატივისცემა (ბიოეთიკა)

ხშირია ტექნიკური ხარვეზები, რიგ შემთხვევაში, მითითებული შედეგები საჭიროებს კორექტირებას, რადგან არის არარეალისტური/არაგაზომვადი. ამასთანავე, შედეგების ფორმულირებები დასაკორექტირებელია ენობრივი სისწორის თვალსაზრისითაც.

საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესწავლის შედეგად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ ჩამოყალიბდა და დასკვნის პროექტში მითითებული ორი რეკომენდაცია:

- o მოხდეს სასწავლო რიგი კურსების სილაბუსებში წარმოდგენილი სწავლის შედეგების ფორმულირება ახლანდელ დროში აქტიური ზმნების გამოყენებით.
- o დაკორექტირდეს რიგი კურსების სილაბუსებში სწავლის შედეგებში „პასუხისმგებლობის და ავტონომიურობის“ განსაზღვრებები „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“ შესაბამისად.

დანსებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პასუხის შესწავლის შედეგად აღსანიშნავია, რომ ექსპერტთა:

- პირველი რეკომენდაცია - გაზიარებული იქნა, დანსებულების არგუმენტირებული პასუხის თანახმად, სასწავლო კურსების სილაბუსებში (ინვალიდთა კინეზოკორექცია) სწავლის შედეგების ფორმულირება მოხდა ახლანდელ დროში, თუმცა რიგ კურსებში ისევ გვხვდება (მაგ., „პრაქტიკა სპეციალობაში) მომავალ დროში სწავლის შედეგების

ფორმულირება, შესაბამისად, რეკომენდაცია შენარჩუნებულია.

- მეორე რეკომენდაცია - დანესებულების მიერ გაზიარებულ იქნა და დაკორექტირდა სილაბუსებში (ჰისტოლოგია, ციტოლოგია, ემბრიოლოგია, სხივური დიაგნოსტიკა და თერაპია და ბიოეთიკა) სწავლის შედეგებში არსებული შეუსაბამობები, თუმცა ისევ გვხვდება პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა ფორმულირებული შემდეგნაირად: სტუდენტმა იყის: პიროვნების პატივისცემისა და თანასწორობის პრინციპები. რეკომენდაცია შენარჩუნებულ იქნა დასკვნაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის კომპონენტების სილაბუსები

რეკომენდაციები:

- მოხდეს სასწავლო რიგი კურსების სილაბუსებში წარმოდგენილი სწავლის შედეგების ფორმულირება ახლანდელ დროში აქტიური ზმნების გამოყენებით.
- დაკორექტირდეს რიგი კურსების სილაბუსებში სწავლის შედეგებში „პასუხისმგებლობის და ავტონომიურობის“ განსაზღვრებები „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“ შესაბამისად.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია სასწავლო კურსების სილაბუსების გაუმჯობესება ენობრივი სისწორის თვალსაზრისით.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

შენიშვნა: კომპონენტი არ შეფასდა, რადგან

- 1) უკვე იყო შეფასებული როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“;
- 2) ამ კომპონენტთან დაკავშირებით რეკომენდაციები გაცემული არ იყო.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება <ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
<p>პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.</p> <p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p><i>შენიშვნა: კომპონენტი არ შეფასდა, რადგან</i></p> <ol style="list-style-type: none"> 1) უკვე იყო შეფასებული როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“; 2) ამ კომპონენტთან დაკავშირებით რეკომენდაციები გაცემული არ იყო.
მტკიცებულებები/ინდიკატორები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება <ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
<p>სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.</p> <p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>აკრედიტაციის საბჭოს მიერ პროგრამაზე გაცემულ იქნა შემდეგი რეკომენდაციები:</p> <p><i>რეკომენდაცია #1: რეკომენდირებულია კლინიკური უნარების შეფასებისთვის შემუშავდეს სამოქმედო გეგმა OSCE-ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა დანერგვასთან დაკავშირებით.</i></p>

კლინიკური უნარების შეფასების მიზნით რიგ სასწავლო კურსებში: მასაჟი, ინვალიდთა კინეზოთერაპია, ფიზიკური ვარჯიშებით რეაბილიტაცია, ფიზიოთერაპია მასალის ზეპირ პრევენტაციასთან და ქვიზთან ერთად სტუდენტის ცოდნის და უნარების შეფასების მიზნით მითითებულია პრაქტიკული უნარების დემონსტრირება და OSCE - ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა, თუმცა არაა წარმოდგენილი სილაბუსზე თანდართული ჩექლისტები და რეკომენდაციის თანახმად განსაზღვრული შესამუშავებელი სამოქმედო გეგმა OSCE-გამოცდის დანერგვასთან დაკავშირებით.

რეკომენდაცია #2: სასწავლო კურსებში შეფასების მეთოდები შეირჩეს კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით, ისე, რომ მოხდეს სწავლის შედეგების დადასტურება და გაზომვა.

რეკომენდაცია გათვალისწინებულია, სასწავლო კურსებში სტუდენტის შეფასების მეთოდები პასუხობს კურსის შინაარსს და თვალისწინებს სპეციფიკას, თუმცა რიგ სასწავლო კურსებში სტუდენტის შეფასების მეთოდები არ არის სრულყოფილი სწავლის შედეგების სრულად შეფასებისათვის:

სამედიცინო ქიმია - გამოყენებულია ზეპირი გამოკითხვა, ტესტირება, ქიმიური რეაქციების ჩატარება-შეფასება, შესაბამისად ეჭვქვეშ დგება კურსის შემდეგი შედეგის გაზომვა და უკანასკნელის მიღწევის დადასტურება, როგორცაა:

- კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის/ნაშრომის განხორციელება წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად.
- ეცოდინება სამედიცინო ქიმიის კრიტიკული გააზრება, რომელიც მოიცავს თემატიკის ზოგიერთ უახლეს მიღწევებს და ქმნის საფუძველს ახალი, ორიგინალური იდეების განვითარებისათვის.

ადამიანის ანატომია - გამოყენებულია ზეპირი გამოკითხვა, ვიზუალური ტესტი ანატომიურ ატლასზე, ქვიზი- ტესტირება, შესაბამისად ეჭვქვეშ დგება კურსის შემდეგი შედეგის გაზომვა და უკანასკნელის მიღწევის დადასტურება, როგორცაა:

- საკუთარი დასკვნების, არგუმენტების წარდგენა, როგორც აკადემიურ ასევე, პროფესიული საზოგადოებისთვის.
- ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების გამოყენებით ელექტრონული რესურსების, მონაცემთა სხვადასხვა ბაზების მოძიება.

სამედიცინო ფიზიკა, ბიოფიზიკა - გამოყენებული შეფასების მეთოდებია: ზეპირი გამოკითხვა, ტესტირება, ლაბორატორიული სამუშაოს შეფასება, აღნიშნულით საეჭვო ხდება კურსის შემდეგი შედეგის გაზომვა და უკანასკნელის მიღწევის დადასტურება, როგორცაა:

- სამედიცინო კონტექსტში სამედიცინო ფიზიკის და ბიოფიზიკის საკითხებზე ეფექტურ ზეპირ კომუნიკაციას შესაბამისი ლათინური დეფინიციების გამოყენებით;
- პრაქტიკული ხასიათის პროექტის/ნაშრომის განხორციელება წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად.

ჰისტოლოგია, ციტოლოგია, ემბრიოლოგია -კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით გამოყენებულია ზეპირი გამოკითხვა, ტესტირება, პრეპარატების ამოცნობა, ალბომის წარმოება, შესაბამისად ვერ გაიზომება კურსის შედეგი - კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის/ნაშრომის განხორციელება წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად.

საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესწავლის შედეგად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ ჩამოყალიბდა და დასკვნის პროექტში მითითებული ორი რეკომენდაცია:

- სასწავლო რიგ კურსებში შეფასების მეთოდები შეირჩეს კურსის სპეციფიკის მაქსიმალურად გათვალისწინებით, ისე, რომ მოხდეს სწავლის შედეგების დადასტურება და გაზომვა.
- რეკომენდირებულია OSCE-ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის დანერგვასთან კლინიკური უნარების შეფასებისთვის შემუშავებული სამოქმედო გეგმის და ჩექლისტების წარმოდგენა.

დანესებულების არგუმენტირებული პასუხის თანახმად, რეკომენდაციები გათვალისწინებულ იქნა და სასწავლო კურსებში: სამედიცინო ქიმია, ადამიანის ანატომია, სამედიცინო ფიზიკა, ბიოფიზიკა, ჰისტოლოგია, ციტოლოგია, ემბრიოლოგია დაკორექტირდა სტუდენტის შეფასების მეთოდები კურსის შინაარსის შესაბამისად და გათვალისწინებულ იქნა სპეციფიკა. დანესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა OSCE ჩექლისტები და შეფასების ფურცლები.

თუმცა, წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასების შედეგად ჩანს შემდეგი: ობიექტურად სტრუქტურირებულ გამოცდაზე სტუდენტისათვის მიცემული დავალება და ამ დავალების შეფასება აცდენილია, მაგალითად, შესასრულებელი ამოცანაა:

- პაციენტისათვის ფიზიოთერაპიული აპარატურის შერჩევა, ხოლო შეფასება - ძალიან კარგად ასხვავებს და ირჩევს ფიზიოთერაპიულ საშუალებებს, სწორად ფლობს პროცედურის ჩატარების ტექნიკას.

ამასთანავე, წარმოდგენილი ფორმები არ შეიძლება ჩაითვალოს ჩექლისტებად, სტრუქტურირებული დავალების ობიექტური შეფასების ფორმების ნაცვლად ე.წ. OSCE სადგურებზე დავალებების შეფასებები მეტწილად სუბიექტური, ანალიტიკური და ჰოლისტიკურია:

- იცის და ძალიან კარგად შეუძლია სარეაბილიტაციო ფიზიკური ვარჯიშების პროგრამის შედგენა პაციენტის ანამნეზისა და მგომარეობის საფუძველზე უპირატესობებისა და პათოლოგიების გათვალისწინებით.
- იცის და კარგად შეუძლია სარეაბილიტაციო ფიზიკური ვარჯიშების პროგრამის შედგენა პაციენტის ანამნეზისა და მგომარეობის საფუძველზე უპირატესობებისა და პათოლოგიების გათვალისწინებით.

სხვა შემთხვევაში:

- დამაკმაყოფილებლად იცის, შეუძლია სარეაბილიტაციო ფიზიკური ვარჯიშების პროგრამის შედგენა, ვერ ასახულებს პაციენტის ანამნეზისა და მგომარეობასთან მის შესაბამისობას.
- უჭირს სარეაბილიტაციო ფიზიკური ვარჯიშების პროგრამის შედგენა, ვერ ასახულებს პაციენტის ანამნეზისა და მგომარეობასთან მის შესაბამისობას.

ამდენად, რეკომენდაცია ექსპერტთა დასკვნაში შენარჩუნებულია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის კომპონენტების სილაბუსები

რეკომენდაციები:

- რიგ სასწავლო კურსებში შეფასების მეთოდები შეირჩეს კურსის სპეციფიკის მაქსიმალურად გათვალისწინებით, ისე, რომ მოხდეს სწავლის შედეგების დადასტურება და გაზომვა.
- რეკომენდირებულია OSCE-ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის

დანერგვასთან კლინიკური უნარების შეფასებისთვის შემუშავებული სამოქმედო გეგმის და ჩექლისტების წარმოდგენა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია სასწავლო კურსების სილაბუსების გაუმჯობესება ენობრივი სისწორის თვალსაზრისით.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		<input checked="" type="checkbox"/>		

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

-

უმალღესი საგანმანათლებლო დანესებულების სახელწოდება:

შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომელი

უმალღესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება, საფეხური:

„ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია“, ბაკალავრიატი


დასკვნის გვერდების რაოდენობა: 19

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		<input checked="" type="checkbox"/>		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		<input checked="" type="checkbox"/>		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა				
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა				
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები				

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

ირინე ფხაკაძე



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

თამარ გვიანიშვილი

